

ლიტერატურული ხელშეკრუნვი



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბის“ დამატება
№3, 27 მარტი, თრიალი, 2023 წელი



ქრისტენი

დავითყებული მოტივი

ნეტავ, ვინ არის
ეს, შავოსანი, პირქუში ქალი,
ჯოხის ამარა რომ დასდგომია
უკაცურ ბილიკს...
კაბის კალთით რომ აუთორევია
მისივე ჩონჩხისმაგვარი ძეძვი
და მიდის, მიდის, არც იცის, საით...
იქნებ ბედერული საქართველოა,
ჩვენს გულებიდან გამოდევნილი?!
ჩაჭიდებული ჟამთასვლის ბორბალს
ჩვენი გულისთვის და, პირველ რიგში,
ისევ ჩვენგანვე უარყოფილი?!
ის არის ალბათ, სხვა ვინ იქნება?!
აბა, რად შევკრთით წამით ყველანი,
რად შეგვაცოცდა მორიელივით
შიში განკითხვის და აღსასრულის?!
ალბათ, მობეზრდა ჩვენი ფუსფუსი,
არაფრის გამო და არაფრისთვის,
ჩვენი უაზრო ჟივილ-ხივილი,
ჩვენი უმიზნო აყალ-მაყალი...
და მიდის, მიდის, არც იცის, საით,
რომ დაეყუდოს გამწყრალ ხატივით,
სადმე, კლდეებში და ყინულებში...
მაინც არ არის ჩვენი საშველი,
თუ ისევ იმან არ მოგვაქცია
გზასაცდენილნი და დაქსაქსულნი...
თუ ისევ იმან არ გაგვახსენა,
რანი ვიყავით და რანი დავრჩით...
თუ ისევ იმან არ გვაპატია
ეს გულგრილობა გასაოცარი...
მაგრამ ჯერ მიდის...
ჯერ გამოხედვაც
არ უნდა ჩვენკენ...



შეხედის შენიშვნის

26 თებერვალს, ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა თეატრალურმა წრემ „აკვარიუმი“ ბათუმელ მწერალს, ქ-ნ ინგა გოგიბერიძეს უმასპინძლა.

„სახლის თეატრში“ წარმოდგენილი იყო ინგა გოგიბერიძის მინიატურების „თოვლის გამყიდველის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ჩემი ოცნების კუნძული“ (რეჟისორი და სცენარის ავტორი ეკატერინე ბაქრაძე). ნორჩი მსახიობების მხატვრული მეტყველებითა და გულწრფელი შესრულებით მოხიბლულმა მწერალმა საკუთარი კრებული – „თოვლის გამყიდველი“ ავტოგრაფით უსახსოვრა თითოეულ მონაწილეს.

ქ-ნ ინგას კარგად იცნობს ხაშურის საზოგადოება. ჯერ კიდევ იმ წლებიდან, როდესაც იგი ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანებას ხელმძღვანელობდა, არაერთი ერთობლივი, ინოვაციური პროექტი განხორციელდა ხაშურსა და ბათუმში.

ქ-ნ ინგა არაერთი წიგნის ავტორი და რედაქტორ-შემდგენელი გახლავთ. 2016 წელს იგი ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის ნომინანტად დასახელდა. ამჟამად ინგა გოგიბერიძე ბათუმის სამუზეუმო გაერთიანების საქმიანობით არის დაკავებული.



ჩემი ოცნების კუნძული



ზღვის ქალაქში ვცხოვრობ და მიყვარს ზღვის ნაპირით სიარული.

ჩემს ქალაქში საოცრებები ხდება: როცა სულს უჭირს, თითქოს თავსხმა წვიმები გეხმარება, რომ შავი ზღვის უკიდეგანო ტალღებში ჩაიძირო. რომ გგონია, მზე არასოდეს გამოანათებს, უეცრად მოვარდება ეს ჯადოსნური ბურთი და სიცოცხლისაკენ გიბიძგებს. შენი მბორგავი სული ხელში უჭირავს და ისე ანათებს სახლებს, ზღვისპირა პარკის სკამებს.

ზღვისპირა ქალაქში ვცხოვრობ და ქუჩაში ვაგროვებ ზღვის კენჭებს, ზღვის ვარსკვლავებს, სიყვარულის ნარჩენებს, ვაგროვებ მართალ სიტყვას, სულის ლექსს და სიტყვის ნამცეცებს, რომ თქვენამდე მოვიტანო, ჩემო მკითხველო, ბათუმი, ზღვა და ჩემი სამყარო...

ზღვის ქალაქში ვცხოვრობ და ჩემს ოცნებებსა და სურვილებს ზღაპრიდან მოსულ ჩემს ოქროს თევზს ვანდობ და მჯერა, ყველა მათგანი ამისრულდება...

ოცნების კუნძულზე გეპატიურებით...



* * *

მოთავსდით სკამებზე! სპექტაკლი იწყება! ნიღბებიც აქვეა. მოთავსდით სკამებზე!

– თქვენ ხომ გაქვთ ბილეთი? ოპ, ეს რა მითხარით! – ცხოვრება გეონათ თქვენ უფრო მარტივი, უნილბო, უფარსო და იქნებ, ადვილიც?.. ეს ჩემი სკამია, თუ თქვენი სკამია? იქნებ შემიცვალოთ ბილეთი, ადგილი...

– მოთავსდით სკამებზე? იპოვეთ ადგილი? ჰო, თქვენი ადგილი... რთული ხომ არ არის, საკუთარ ხმასა და საკუთარ სიმღერას მოუწყოთ სპექტაკლი?

მოთავსდით სკამებზე! სპექტაკლი დაიწყო!..

* * *

ფეხებზე ქალამნები მოირგო, გულში სევდა ჩაინერა, ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა და ცხოვრება ტომრად მოიგდო მხარზე, მხარზე, რომელსაც მისი ოჯახის წევრები ეყრდნობოდნენ.

ახლა კი, სადღაც, შორს მიდიოდა, სხვა ქვეყანაში, უცხო მხარეში, სადაც სხვა ფერი იქნებოდა ზეცა, ზღვა კი – შავი, უთქმელი და უტყვი...



* * *

კომაში ვართ, რადგან ბავშვებს შიათ და არსებობისათვის მათხოვრებად ქცეულან!

კომაში ვართ, რადგან ვერაფერს ვხედავთ ირგვლივ ჩვენი თავის გარდა!

კომაში ვართ, რადგან მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ვზრუნავთ!

კომა – ღრმა ძილი, სიცოცხლისთვის სახიფათო მდგომარეობა!



* * *

ეს მე ვარ, ჩიტი და ვაკაკუნებ...

გამიღეთ კარი! დამიგვიანდა... ჩემს სუნთქვას ეკვრის რკინის მავთული.

რატომ არ გესმით? გამიღეთ კარი!

დამიგვიანდა და ვაკაკუნებ...

რკინის მავთული უფრო ღრმად მეკვრის...

ეს მე ვარ, ჩიტი, ვაკაკუნებ და ველოდები ჩაკეტილ კართან გაღებულ კარებს.



* * *

ხაზი, რომელსაც შენთვის ვავლებ, მინდა სწორი იყოს, გზიდან რომ არ გადავუხვიო და უსამართლობამ, სიყალბემ და უნდობლობამ ჩემი ხაზისკენ არ გადმოუხვიოს... ხაზი, რომელსაც მუდმივად ვავლებ, მტკიცე გული და უსასრულო სიყვარული სჭირდება...

ჰაერში მივთართატებ დალლილი, წელში მოხრილი...

დამეხმარე, საკერავო მანქანავ, რომ ხაზი, რომელსაც ვავლებ, მუდმივად სწორი იყოს და გზიდან არ გადავუხვიო...

* * *

ალბათ, მიხვდით, რომ ჩემი ოქროს თევზისთვის ყურში გასამხელი ჩვენი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობისთვის სიყვარულის, მშვიდობის, ერთიანობის მომტანი სურვილია...

აი, მაშინ ყველა ოცნება ერთად აგვიხდება!

სასწაულების ახდენის დრო დგება...



ემილიანის ფინანსი



იმედი

დილით სისხლის ანალიზი უნდა ჩავაპარო. თვეში ორჯერ მიწვეს ეს პროცედურა...

დღეს მივდივარ საქართველოში, მაგრამ არ მინდა წასვლა... ასე პირველად ვარ. აქ, ევროპაში, საითკენ მიგვერევება დასავლეთი? – უკვე საკითხავია. ის ევროპა აღარ არის, სულ რაღაც, 30 წლის წინ რომ იყო. აქ ცხოვრება ჩემი ასაკის ქართველისთვის საპყრობილება!..

13 საათზე მატარებელში ვჯდები, ნიურნბერგის მიმართულებით.

რაღაც, ძალიან დამთრგუნველი აზრები მომდის თავში... აეროპორტშიც იგივე ფიქრები...

– მიდიხარ? – ვეკითხები თავს.

– მივდივარ.

– მაგრამ სად? იქ ხომ არც სახლი და არც კარია, სადაც შენ დაიბადე. 30 წელი გაგრძელდა შენი რეისი: რუსეთი, უკრაინა, გერმანია, თურქეთი, საქართველო და ისევ გერმანია. რას დაეხეტები, რას ეძებ?

– ჩემს სახლს ვეძებ, ჩემს აფხაზეთს, გაგრას, კოლხიდას, სასაფლაოს, სადაც ჩემი წინაპრები ასვენია...

დილის 4 საათზე თბილისში ვარ, კვლავ მძიმე განწყობით.

საღამოა... ისევ იგივე მელანქოლია...

მარტონი დავრჩით მე და უფროსი შვილიშვილი.

– ბაბუ, რაღაც ვერ ხარ, რამე ხომ არ მოხდა?

– კი, ბაბუ, მოხდა, 30 წლის წინ. დავიღალე, ბაბუ, ძალიან. განა მხოლოდ ფიზიკურად იღლება ადამიანი? უკვე არაფრის მჯერა.

– და, მაინც, ბაბუ, რა განუხებს?

– იმედის დაკარგვა, ბაბუ...

მეც და შვილიშვილსაც თვალები გვევსება ცრემლით.

– ჩვენ, ბაბუ? 4 შვილიშვილი, ჩვენ არა ვართ იმედი?! აფხაზეთში ხომ უნდა დავბრუნდეთ, შენთან ერთად?..

თითქოს ვიღაცამ გამილაწუნა და იმედისაკენ მომაბრუნა...

სერგო აბაშიძე – გერმანიაში მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი





3 თ ე ბ ი ა



ნ უ ც ი ჩ ა ც ა ძ ე

მომაკითხა გაზაფხულმა

კიდევ ერთხელ მომაკითხა გაზაფხულმა,
იქნებ მასაც ცოტაოდენ მოვენატრე,
ეს ლოდინიც უხილავად გადახუნდა,
სად აყვავდნენ კესანები, რომ ვინატრე.
სული გათბა, ელოდება რაღაც ახალს,
პეპლებს ვიჭერ, არ შევიმჩნევ, თუმცა, დაღლას,
წამოწვიმავს, გადამწვანდა მთა დიდრონი,
სიმფონიას შეასრულებს იადონი.
ვარდისფერი ტონი ადევს არემარეს
და ხეხილი ახლა სითბოს ვერ იკმარებს,
შემოალებს დედოფალი ოქროს კარებს,
ცუდ ამინდებს აღარავის მიგვაკარებს.

მომიყვანე გაზაფხული

თებერვალო, მომიყვანე გაზაფხული,
მომიყვანე, მეტი აღარ მალოდინო,
მარტს აპრილი მოაყოლე და მაისი,
ეს თვე მინდა, უსასრულოდ მამყოფინო.
გაზაფხული მომიყვანე, თებერვალო,
მარტოობა არ მსურს, შენ რომ დაგაბრალო,
შემახვედრე ვარდობისოვეს გამთბარ გუბეს
და იმ ბუდეს, ფრთოსანი რომ დაიბუდებს.
თებერვალო, გევედრები, არ მიწინო,
მე რომ ისევ მაისის თვეს ველოდები,
მინდა, ახლა ყვავილთცვენას მივეგებო,
მომიყვანე, ნუთუ აღარ გეცოდები...

მირქმა

აღსრულდა მირქმა,
მოლოდინია მტვრისგან განწმენდის,
მთავრდება სულთქმა
და ლოცვას ვწირავთ, ცამდე აწვდენილს.
კაცობრიობამ ძე შემოქმედის
მკერდთან მიირქვა...
თუმცა, მის ფარას
ულმობელი ღალატი ერქვა...
კვლავ აღსრულდება,
ადრე თუ გვიან, მაინც მოხდება,
უძრავ სხეულს რომ
უკანასკნელი ხმა აღმოხდება.
დაე, მიგვირქვას
მის თბილ უბეში სამყაროს მამამ,
მისი ნუგეში გაგვაძლიერებს
აწყობი, მანამ.
აღსრულდა მირქმა...



დედამიწა მთვარიდან

მთვარემ ჩამოფინა დღის ბოლოს ფოსფორი,
ლამემ გამეტა მინისთვის ამბორი,
მოდიან აზრები სიზმრამდე გამყოლი,
თავში ვაკონინებ ათასგარ გაგონილს.
თეთრი და შავია, რაც ჭარბობს სასწორზე,
მომავალს ვესწრაფვით, არ ვთიქრობთ აწყობი!
ახლა მთვარის შუქი ნებივრობს საწოლზე,
ბრბო გადაუცვლიათ სიმართლის სამწყსოზე.
მთვარე ჩამომჯდარა, ნეტავ, რა ანალვებს?
შუღლთან შერიგება ცისკარს ვერ გააღებს.
ის უხსენებელი ხალხს როგორ განაგებს,
კეთილი წვალობს და სამართალს ვერ აგნებს.
მთვარიდან ეს მინა ბნელია რარიგად,
მტრად იბადებიან, არც ძმად და არც გმირად,
რომ ვერ უპოვნიან სინათლეს იმ გვირაბს,
მაშინ, იმათ სულებს ხომ ტანჯვა განგმირავს.
სანამ ეს პლანეტა ჩქარობს და კვლავ ბრუნავს,
ვეტრფოდეთ, ვეუეროთ, – ეს ყველას განგვკურნავს...
შური არ გვიშველის, არც წყევლა, არც კრულვა, –
ამით გაიხარებს მომხდური მზაკვრულად!
თუკი, ეს ქვეყანა ზეყანამ აკურთხა,
გავუძლიოთ!.. რა მოხდა, ცოტა თუ გართულდა.
უკმეხი ძახილი მალე თუ გაყუჩდა,
ვიხარებთ და ვიტყვით – სიმშვიდე დაბრუნდა!..

შენ ხარ უფალი

უფალო, შენ ხარ ხსნა,
ვერავინ შეგცვლის სხვა,
არც ირიურაჟებს ხვალ,
თუ არ უდერს შენი ხმა.
შენ სულის შვება ხარ,
ნუ გამოგვიჩენ ბრალს,
მადლი აფრქვიე კაცს,
უკვდავების წყლით მთვრალს.
შენ თავად ზეცა ხარ,
ბოროტს ჩრდილითაც წვავ,
გვაშორებს ერთი წყრთა –
ჩვენი ცხოვრებით წრთვნა.

თანავარსკვლავედი

ცაში შევციცინებ თანავარსკვლავედებს,
მინდა, დავხატო და ხელი მივაწვდინო,
დრო არ აწესებდეს უამთა ცვლას და ვადებს,
სული გაცოცხლდეს და აღარ დაავადდეს.
მთელი სიმსუბუქით ჰაერს შეუერთდე
და რუხი ღრუბლები ისევ გადათეთრდნენ.
დაღლილი თვალები, რწმენით თუ აენთნენ,
იქნებ განთიადი იმედით გათენდეს...

ქრისტე იშვა

შობის ღამე ჩუმად დგება,
თოვლის გორა ჯერ არ დნება,
შობის ხატზე ჩვილი ქრისტე
ვარსკვლავებით განათდება...
იზეიმებს მხსნელის მოსვლას
დიდ-პატარა, მოგვი, მწყემსნი,
მას ვავედროთ ერთმანეთი, –
რაც დაგვიდო ქრისტემ წესი.
ანგელოზებს ვუერთდებით,
სული გალობს: „ალილო!“
დაუჭენობლად გაიფურჩენე
წითლად, შობის ყვავილო...